N 10
18/08/2020

10-07-4-202008181049

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N10

ქ. ლანჩხუთი 17. 08. 2020 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ცირა ბზეკალავა.

მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ბიძინა იმნაიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „შპს ფეხბურთის კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „შპს ფეხბურთის კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 27 მაისს მუნიციპალიტეტში შემოვიდა ლანჩხუთის ,,გურია“-ს მმართველი კომპანიის ჯი ბი არ -ის დირექტორის ბატონ საბა ჯაფარიძის წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი კლუბის შემდგომი ფუნქციონირებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

კლუბის კერძო მფლობელობაში გადაცემისათვის მიზანშეწონილია დაფუძნდეს შპს ,,ლანჩხუთის გურია“ , რომელიც შემდგომ ჩაანაცვლებს ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის გურია“-ს არსებული ვალდებულებების პასუხისმგებლობით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N39 (17.08.2020)

დღის წესრიგის მეორე საკითხი:„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების

ცენტრის წერილის განხილვის შედეგად მიზანშეწოლილად ჩაითავალა დასუფთავების ღონისძიებებში არსებული პრობლემების ნაწილობრივ მოგვარების მიზნით შეძენილი იქნას 100 ცალი 1100 ლიტრი ტევადობის ნაგვის ურნა, სავარაუდო ღირებულებით 60000 ლარი. შეძენის უზრუნველსაყოფად გაიზარდოს მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების მუხლი.

ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში ელექტრო-ენერგიის ქსელში ჩართვის მიზნით გაიზარდოს 800 ლარით კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში (ორგ.კოდი 02 03 02). აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსებისათვის გაიზარდოს ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში ჯარიმებისა და საურავების სახით 60800 ლარი.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ასევე აღნიშნა, რომ ა(ა)იპ სპორტულ ცენტრს საცურაო აუზის გამართული მუშაობისთვის და კომუნალური ხარჯების ეკონომიისთვის ესაჭიროება გაზის გამათბობელი დანადგარისა და წყლის ტუმბოს შეძენა, რისთვისაც შიდა მონაცვლეობის ხარჯზე უნდა განხორციელდეს 4305 ლარის ,,საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან ,,არაფინანსური აქტივების“ მუხლში გადატანა. გარდა ამისა, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ,,კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ 2020 წლის სუბსიდიის ხარჯთაღრიცხვაში უნდა შევიდეს ცვლილება და შიდა მონაცვლეობის ხარჯზე განხორციელდეს 23000 ლარის გადატანა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში. კერძოდ, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის შეძენის ქვემუხლში - 20000 ლარი და სხვა შენობა-ნაგებობები-3000 ლარი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N40 (17.08.2020)

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო